

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება №92
(10.04.2009 წ.)

ბატონ ა. წილოსანის განცხადებასთან დაკავშირებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შევიდეს დამატებები ა. წილოსანის 07.04.2009 წლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სტუ-ს 2009 წლის 03 აპრილის №89 დადგენილებაში და ის ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ბატონ ა. წილოსანის მიერ 25.03.09 აკადემიურ საბჭოში შემოსულ განცხადებაში დასმული საკითხები, მათ შორის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის, ბ-ნ ნ. წერეთლის არჩევის საკითხი აკადემიური საბჭოს კომპეტენციის შესაბამისად, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭოს პრეროგატივას და მის ფუნქციებში ჩარევის უფლება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს არა აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბატონ ა. წილოსანის განცხადება შესწავლისა და სათანადო რეაგირებისათვის გადაეცეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს და ეთიკის კომისიას.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
პროფ.

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფ.

გ. სალუქვაძე